

დადგენილება N029507

გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

6 მარტი 2024 წ.

ქ. ფოთი

1. დადგენილების გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი):

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის იურისტი გულინა კუნჭულია

2. საქმის განხილვის თარიღი: 2024 წლის 6 მარტი

3. ცნობები პირის შესახებ, რომლის მიმართაც განიხილება საქმე:

ფიზიკური პირი ვეფხვია ჭიხვარია პ.ნ 19001023735 მცხოვრები ზუგდიდი, ფირცხელავას, სახლი №7 აბონენტის ნომერი 3101467955

4. საქმის განხილვისას დადგინდა შემდეგი გარემოებები:

ფიზიკურმა პირმა ვეფხვია ჭიხვარიამ მოახდინა ბუნებრივი აირის თვითნებური ჩართვა, შესაბამისად ადგილი ჰქონდა ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებას.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილით, თუმცა საქმის განხილვისას დადგენილ იქნა რომ ფიზიკური პირის ვეფხვია ჭიხვარიას მიერ ბუნებრივი აირით უკანონო მოხმარება (თვითნებური ჩართვა) გამოვლენილია წლის განმავლობაში პირველად, შესაბამისად, ვეფხვია ჭიხვარიას მიერ ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ასკ-ს 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით.

5. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელებ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით, 200, 228<sup>2</sup>, 236-237, 266-268 მუხლებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის #12 და 2010 წლის 12 აგვისტოს #14 დადგენილებებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე:

6. ფ/პ ვეფხვია ჭიხვარიას პ.ნ 19001023735 დაედოს ადმინისტრაციული სახდელი გაფრთხილება (სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასახელება)

7. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, იურიდიული პირისა და დაწესებულების დაჯარიმებას - 15000 ლარის ოდენობით;

8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ჩაბარებიდან/საჯარო გამოცხადების გზით ჩაბარებულად ჩათვლიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:

ე.კეჭელაძე.